ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამის ინფორმირებულობის დონის შეფასება სტუდენტი გოგონების პოპულაციაში

მაგისტრანტი: თინათინ მჭედლიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ მჭედლიანი



03.07.2022

ნაშრომში გამოყენებული რამდენიმე მონაკვეთი აღებულია 2018-2019 წლის გაზაფხულის სემესტრში საქართველოს უნივერსიტეტში ჩემ მიერ შესრულებული საბაკალავრო ნაშრომიდან - „საქართველოში სამედიცინო სერვისის მიღების მიზნით ჩამოსულ ტურისტთა მოტივაციები“.

აბსრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამის ინფორმირებულობის დონის შეფასება სტუდენტი გოგონების პოპულაციაში. დღევანდელ გარემოში აშკარად იკვეთება საჭიროება ახალგაზრდებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების საქართველოში არსებულ სკრინინგ პროგრამასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოცემული კვლევის მიზანი იყო იმის დადასტურება, რომ სკრინინგის პროგრამის ინფორმირებულობის და მნიშვნელობის მაღალი დონე განაპირობებს მოსახლეობის მიმართვიანობას სკრინინგ ცენტრებში, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძუძუს კიბოს დამარცხებაში.

აღნიშნული ჰიპოთეზა გადამოწმდა რაოდენობრივი კვლევით, კერძოდ სტრუქტურიზებული კითხვარით, რომელშიც გამოყენებული იყო დახურული და ღია ტიპის კითხვები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მდედრობითი სქესის სტუდენტმა გოგონებმა, რომელთა უმაღლესი სასწავლებელი მდებარეობს ქ-თბილისში.

კვლევის შედეგების საფუძველზე დადასტურდა ჰიპოთეზა. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ სკრინინგის მნიშვნელობის ცოდნის შემთხვევაში აუცილებლად ჩაიტარებდნენ მას. ასევე გაუწევდნენ რეკომენდაციას ახლობლებს ჩაეტარებინათ ძუძუს კიბოს სკრინინგი.

ნაშრომში, ასევე, მოცემულია ძუძუს კიბოს გავრცელების არსებული სიტუაციის მიმოხილვა და ინფორმაცია იმ საკვანძო საკითხების შესახებ, რომლის გაუმჯობესებაც მნიშვნელოვანია სკრინინგ პროგრამის წარმატებითვის და განვითარებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ძუძუს კიბო და გავრცელება, ძუძუს კიბოს მკურნალობა, სკრინინგ პროგრამაში ჩართვა, საქართველო

Abstract

The present paper discusses and estimates the awareness of a breast cancer screening program in the light of the female students. Due to today's environment, it is vivid that there is an interest from young ladies in regards of the current screening program. Hence, the purpose of a given survey was to confirm that the high level of awareness and importance of the screening program, determines the referrals of the population to the screening centers, which plays a significant role in preventing breast cancer.

Stated hypothesis was validated by quantitative research; namely, it was used a structured survey with open and multiple choice questions. Respondents were female students, living in Tbilisi area.

Based on research results the research hypothesis was confirmed. Respondents affirmed that if they knew the importance of screening, they would definitely perform it. Besides, they would also recommend that relatives undergo breast cancer screening.

The paper also provides an overview of the current situation of breast cancer prevalence and information about the key issues, the improvement of which is important for the success and development of the screening program.

Keywords: breast cancer and prevalence, breast cancer treatment, inclusion in the screening program, Georgia